გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 63

2024 წლის 12 აპრილი
ქ. გორი

ქ. გორში, ვერხვების დევნილთა ჩასახლებაში, წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსის ქუჩაზე №63-ის და №90-ის მიმდებარედ (სასაფლაოსკენ მისასვლელ გზაზე) 2 (ორი) ლოკაციაზე „ხელოვნური უსწორმასწორობების" განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ქ. გორში, ვერხვების დევნილთა ჩასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ქ. გორში, ვერხვების დევნილთა ჩასახლებაში, წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსის ქუჩაზე №63-ის და №90-ის მიმდებარედ განთავსდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობები.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ, შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოსთან ერთად და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით ქ. გორში, ვერხვების დევნილთა ჩასახლებაში, წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსის ქუჩაზე №63-ის და №90-ის მიმდებარედ (სასაფლაოსკენ მისასვლელ გზაზე) 2 (ორი) ლოკაციაზე განთავსდეს სიჩქარის შემანელებელი ბარიერები ГОСТ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა"; 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ"; 5,20 „ხელოვნური უსწორმასწორობა".

საგზაო უსაფრთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში, ვერხვების დევნილთა ჩასახლებაში, წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსის ქუჩაზე №63-ის და №90-ის მიმდებარედ (სასაფლაოსკენ მისასვლელ გზაზე) 2 (ორი) ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. ქ. გორში, ვერხვების დევნილთა ჩასახლებაში, წმინდა ალექსანდრე ეპისკოპოსის ქუჩაზე №63-ის და №90-ის მიმდებარედ (სასაფლაოსკენ მისასვლელ გზაზე) 2 (ორი) ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);

გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**